არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

„მედიის განვითარების ფონდი“

წესდება

თბილისი

2023

მუხლი 1
ზოგადი დებულებები

1.1 მედიის განვითარების ფონდი (შემდგომში - ფონდი) წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს, რომელიც მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.

1.2 ფონდი დაფუძნებულია 2008 წლის 24 აპრილს. ფონდის ადგილსამყოფელია საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ყიფშიძის ქ., №9ბ, სადარბაზო №4, სართული №7.

1.3 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ვალდებულებებისათვის მისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) პასუხს არ აგებს. ასევე არ აგებს პასუხს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საკუთარი წევრების, აგრეთვე თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) ვალდებულებებისათვის.

1.4 ფონდის საქმიანობის მიზნები:

1.6.1. ადამიანის ფუნდამენტური უფლებების, თანასწორობის იდეის დაცვა;

1.6.2. უმცირესობათა სრულფასოვანი ინტეგრაციისა და მრავალფეროვნების ხელშეწყობა;

1.6.3. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ხელშეწყობა;

1.6.4. თავისუფალი მედია გარემოს ხელშეწყობა;

1.6.5. ქართული მედიის პროფესიული და ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა;

1.6.6.მედიის ანგარიშვალდებულების სისტემის, თვითრეგულირების მექანიზმების დამკვიდრება;

1.6.7. აქტიური მოქალაქეობის ხელშეწყობა.

1.7. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.

1.8. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.

მუხლი 2.
საქმიანობის ფორმები

2.1. საწესდებო მიზნების მისაღწევად ფონდი:

2.2. ეწევა კვლევით და საგანმანათლებლო საქმიანობას;
2.3. ეწევა სამეცნიერო, საგამომცემლო და მთარგმნელობით საქმიანობას;
2.4. ეწევა ჟურნალისტთა და მედიის მომხმარებელთა უფლებების ადვოკატირებას;
2.5. ეწევა უმცირესობათა უფლებების ადვოკატირებას და მრავალფეროვნების შესახებ საგანმანათლებლო კამპანიას;
2.6. ხელს უწყობს მედიის პროფესიული სტანდარტების და ეთიკური ნორმების დამკვიდრებას;
2.7. ხელს უწყობს მოქალაქეთა გააქტიურებას და ახალგაზრდების მობილიზებას სამოქალაქო და საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელების მიზნით;
2.8. თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;
2.9. ეწევა სხვა საქმიანობას, რომელიც არ არის აკრძალული კანონით.

მუხლი 3.
საზოგადოების მართვა

3.1. ფონდის უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს ფონდის გამგეობა, რომელიც შედგება არანაკლებ 4 და არაუმეტეს 10 წევრისაგან, რასაც წერილობითი გადაწყვეტილებით განსაზღვრავენ დამფუძნებლები.
3.2. ფონდის გამგეობა მოიწვევა 6 თვეში არანაკლებ ერთხელ მაინც, გამგეობის წევრთა ნახევარზე მეტის, გამგეობის თავმჯდომარის ან დამფუძნებელ(ებ)ის ინიციატივით. გამგეობა უფლებამოსილია, თუ მის სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. ყოველ წევრს აქვს ერთი ხმა. ხმის გადაცემა დაუშვებელია.
3.3. გამგეობა:
3.3.2. ხმათა უმრვალესობით ირჩევს და ათავისუფლებს გამგეობის თავმჯდომარეს;
3.3.3. ისმენს აღმასრულებელი დირექტორის ფინანსურ ანგარიშს და ანგარიშს ფონდის საქმიანობის შესახებ;
3.3.4. ამტკიცებს საზოგადოების თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილსაზოგადოების საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებებს;

მუხლი 4.
ფონდის ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

4.1. ფონდის ხელმძღვანელი ორგანოა გამგეობის თავმჯდომარე და აღმასრულებელი დირექტორი.
4.2. გამგეობის თავმჯდომარე და აღმასრულებელი დირექტორი ხელმძღვანელობენ და მესამე პირებთან ურთიერთობაში ფონდს წარმოადგენენ ერთპიროვნულად, ცალ-ცალკე.
4.3. გამგეობის თავმჯდომარე:
4.3.1. გამგეობის თავმჯდომარეს ფონდის მიზნების მიღწევაში ეხმარება აღმასრულებელი დირექტორი. გამგეობის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობებს ასრულებს აღმასრულებელი დირექტორი; აღმასრულებელი დირექტორის არყოფნის/გადადგომის შემთხვევაში მის მოვალეობებს ასრულებს გამგეობის თავმჯდომარე;
4.3.2. გამგეობის თავმჯდომარეს 3 (სამი) წლის ვადით ირჩევს გამგეობა;
4.3.3. გამგეობის თავმჯდომარის კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვს გამგეობის წევრს;
4.3.4. ახლადარჩეული გამგეობის თავმჯდომარე გამგეობის წინაშე ასახელებს აღმასრულებელი

3

დირექტორის კანდიდატურას;

4.3.5. გამგეობის თავმჯდომარის უფლებამოსილება იწყება არჩევის მომენტიდან და გრძელდება ახალი თავმჯდომარის არჩევამდე.

4.4. აღმასრულებელი დირექტორი თანამდებობაზე აირჩევა სამი (3) წლის ვადით.

4.5. აღმასრულებელ დირექტორს თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგეობის თავმჯდომარე გამგეობის თანხმობით.

4.6. აღმასრულებელი დირექტორი:

4.6.1.წარმართავს ფონდის საქმიანობას გამგეობის მიერ განსაზღვრული პროგრამული პრიორიტეტების მიხედვით;

4.6.2. ხელმძღვანელობს და კოორდინირებას უწევს პროექტების განხორციელებას;

4.6.3. განკარგავს ფულად სახსრებსა და მატერიალურ რესურსებს, პასუხისმგებელია მათ სწორად გამოყენებაზე;

4.6.4. თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ფონდის თანამშრომლებს;

4.6.5. საჭიროების შემთხვევაში გამგეობის კრებას წარუდგენს დეტალურ ინფორმაციას ორგანიზაციის საქმიანობაზე.

4.6. გამგეობის თავმჯდომარის უფლება-მოვალეობანი:

4.6.1. წარმართავს ფონდის საქმიანობას საწესდებო მიზნების მისაღწევად;

4.6.2. ზედამხედველობს ფონდის ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერიალური ქონების მართვას;

4.6.3. გამგეობას დასამტკიცებლად წარუდგენს ფონდის ორგანიზაციულ სტრუქტურას;

4.7. გამგეობის თავმჯდომარე ან/და აღმასრულებელი დირექტორი ასრულებენ ამ წესდებით მათზე დაკისრებულ სხვა ფუნქციებსაც.

4.8. გამგეობის თავმჯდომარის უფლებამოსილება შეწყდება:

4.8.1. პირადი განცხადების საფუძველზე;

4.8.2.წესდებით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობის, უფლებამოსილების გადამეტების ან ფონდის საწესდებო მიზნებთან შეუსაბამო საქციელისათვის;

4.8.3. თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა მის მიერ წესდებით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობის, უფლებამოსილების გადამეტების ან ფონდის საწესდებო მიზნებთან შეუსაბამო საქციელისათვის შეუძლია მხოლოდ გამგეობას. ასეთ შემთხვევაში გამგეობა ერთი თვის ვადაში ირჩევს ახალ თავმჯდომარეს დარჩენილი ვადით;

4.8.4. თავმჯდომარის გადადგომის შემთხვევაში ახალი თავმჯდომარის არჩევამდე თავმჯდომარის ფუნქციებს ასრულებს აღმასრულებელი დირექტორი;

4.9. თავმჯდომარე და აღმასრულებელი დირექტორი ფონდის საქმეებს უნდა უძღვებოდნენ კეთილსინდისიერად. ისინი საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანისათვის პასუხს აგებენ პირადად ფონდის წინაშე.

მუხლი 5.
გამგეობის კრების მოწვევის წესი

5.1. გამგეობის კრების მოწვევის შესახებ შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება:

5.1.1. დაზღვეული წერილის გაგზავნისას;

5.1.2. ადრესატისათვის პირადად ჩაბარების შემთხვევაში;

5.1.3. ელექტრონული ფოსტით გაგზავნისას;

5.2. მოწვევის შესახებ შეტყობინება უნდა გაიგზავნოს კრების ჩატარებამდე არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღისა. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში დაუყოვნებლივი შეტყობინებით. შეტყობინებაში უნდა მიეთითოს კრების ჩატარების თარიღი, დრო, ადგილი და დღის წესრიგი. გამგეობა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. გამგეობის წევს უფლება აქვს კრების საქმიანობაში მონაწილეობა მიიღოს წარმომადგენლის მეშვეობით.

5.3. თუ კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, იმავე ვადებში და წესით მოიწვევა განმეორებითი გამგეობის კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია დამსწრეთა ოდენობის მიუხედავად.

5.4. თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, გამგეობის კრების გადაწყვეტილება ძალაში შედის მას შემდეგ, რაც სხდომის ოქმს ხელს მოაწერს გამგეობის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი. სხდომის ოქმში უნდა აისახოს: ა) სხდომის ჩატარების დრო და ადგილი; ბ) სხდომის თავმჯდომარის ვინაობა; გ) სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა და ვინაობა; დ) კენჭისყრის შედეგები; ე) მიღებული გადაწყვეტილებები.

მუხლი 6.

დამფუძნებელთა/წევრთა უფლებები და მოვალეობები

6. ფონდის დამფუძნებლები:

6.1. ფონდის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა დამფუძნებელთა საერთო კრება;

6.2. დამფუძნებლები უფლებამოსილნი არიან მიიღონ გადაწყვეტილებები თავიანთი ინიციატივით ან გამგეობის წარდგინების გათვალისწინებით.

6.3. დამფუძნებელთა საერთო კრება მოიწვევა წელიწადში არანაკლებ ერთხელ მაინც გამგეობის, გამგეობის თავმჯდომარის ან დამფუძნებელ(ებ)ის ინიციატივით. საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მის სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. ყოველ წევრს აქვს ერთი ხმა. ხმის გადაცემა დაუშვებელია.

6.3. დამფუძნებელთა უფლებამოსილება:

6.3.1. იღებს ფონდის წესდებას და ცვლილებები შეაქვს მასში;

6.3.2. შექმნან გამგეობა;

6.3.3.შეიტანონ ცვლილებები გამგეობის როგორც რაოდენობრივ, ასევე სახელობით შემადგენლობაში (შეცვალონ გამგეობის წევრები);

6.3.4. მოითხოვონ და მოისმინონ ანგარიში ფონდის საქმიანობის შესახებ;

6.3.5. გამგეობის ინფორმირებით ან ასეთი ინფორმირების გარეშე მოახდინონ ფონდის საქმიანობის კანონმდებლობასთან და მოქმედ სამართლებრივ აქტებთან შესაბამისობის შემოწმება;

6.3.6. იღებს გადაწყვეტილებას ფონდის რეორგანიზაციის შესახებ;

3.3.7. იღებს გადაწყვეტილებას ფონდის თვითლიკვიდაციის შესახებ;

მუხლი 7.

დამფუძნებელთა საერთო კრების მოწვევის წესი

7.1. საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება:

7.1.1. დაზღვეული წერილის გაგზავნისას;

5

7.1.2. ადრესატისათვის პირადად ჩაბარების შემთხვევაში;

7.1.3. ელექტრონული ფოსტით გაგზავნისას.

7.2. საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინება უნდა გაიგზავნოს კრების ჩატარებამდე არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღისა. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში დაუყოვნებლივი შეტყობინებით. შეტყობინებაში უნდა მიეთითოს კრების ჩატარების თარიღი, დრო, ადგილი და დღის წესრიგი. საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება საერთო კრების წევრთა ნახევარზე მეტი. საერთო კრების წევრს უფლება აქვს საერთო კრებაზე მონაწილეობა მიიღოს წარმომადგენლის მეშვეობით.

7.3. თუ საერთო კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, იმავე ვადებსა და წესით მოიწვევა განმეორებითი საერთო კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია დამსწრეთა ოდენობის მიუხედავად.

7.4. თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საერთო კრების გადაწყვეტილება ძალაში შედის მას შემდეგ, რაც სხდომის ოქმს ხელს მოაწერს საერთო კრების თავმჯდომარე და სხდომის მდივანი. სხდომის ოქმში უნდა აისახოს: ა) სხდომის ჩატარების დრო და ადგილი; ბ) სხდომის თავმჯდომარის ვინაობა; გ) სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა და ვინაობა; დ) კენჭისყრის შედეგები; ე) მიღებული გადაწყვეტილებები.

მუხლი 8.

ფონდის ქონება

8.1. ფონდის ქონება იქმნება:

8.1.1 ფონდის საკუთრებაში არსებული ქონებით;

8.1.2 დამფუძნებლის მიერ გადაცემული ქონებით;

8.1.3 გრანტებით მიღებული სახსრებით;

8.1.4 საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით;

მუხლი 9.

ფონდის ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

9.1. ფონდის საქმიანობის შეწყვეტა (გაუქმება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

9.1.1. საერთო კრების გადაწყვეტილებით;

9.1.2. კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში.

9.2. ფონდის ლიკვიდაციას ახორციელებს გამგეობის თავმჯდომარე, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

9.3.ლიკვიდაციის დამთავრების შემდეგ დარჩენილი ქონება გადაეცემათ დამფუძნებლებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.4. ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გადაეცემათ დამფუძნებლებს.

9.5. დამფუძნებლების გადაწყვეტილება ფონდის ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

6

9.6. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება ხდება დამფუძნებლების მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.7. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.
9.8. თუ ფონდის დამფუძნებლებმა არ განსაზღვრეს ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო ფონდის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულპირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორიც ამ ფონდს. თუ ასეთი ორგანიზაციები არ არსებობს ან შეუძლებელია ასეთი ორგანიზაციების გამოვლენა, მაშინ შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 6 თვის შემდეგ.
9.9. ლიკვიდაციას ახორციელებს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი. ლიკვიდატორი პასუხს აგებს, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

მუხლი 10.
დასკვნითი დებულებები

10.1 წინამდებარე წესდება (დამფუძნებლის გადაწყვეტილება) ძალაში შედის ყველა ხელმოწერის მომენტიდან.
10.2 თუ ამ წესდების რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.
10.3 ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში, მოქმედებს კანონი.

ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდის“ დამფუძნებლების ხელმოწერა:

1. თამარ ხორბალაძე პირადი ნომერი: 01024023042; მისამართი: ქ.თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 2ა, ბ. 12; დაბადების თარიღი: 20/10/1973 წ;

   თამარ ხორბალაძე

2. თამარ კინწურაშვილი, პირადი ნომერი:01026003881; მისამართი: ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ყიფშიძის ქ., №9ბ, სადარბაზო №4, სართული №7 ; დაბადებით თარიღი: 08/05/1970 წ;

   თამარ კინწურაშვილი

3. ქეთევან მსხილაძე, პირადი ნომერი: 01017008597 ; მისამართი: ქ. თბილისის, მიხაი-ზიჩის ქუჩა N2 ; დაბადების თარიღი: 05/09/1960 წ;

   ქეთევან მსხილაძე

4. ლევან გიორგაძე პირადი ნომერი: 01005011040; მისამართი: ქ.თბილისი, არჩილ ქურდიანის ქუჩა N2, ბ. 21 ; დაბადების თარიღი: 15/02/1983 წ;

   ლევან გიორგაძე

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შტამპი №441
თარიღი 19 აპრილი 2013 წ.
გვ.რაოდენობა ... ხელმოწერა

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შტამპი №595
თარიღი „19“ აპრილი 2013 წ.
გვ.რაოდენობა 08 (რვა) ხელმოწერა .... ქ.